Einwilligung

Im **deutschen Recht** ein gewohnheitsrechtlich anerkannter Grundsatz, wonach das Einverstandensein des Opfers mit der Rechtsgutsverletzung, soweit hierdurch nicht bereits der Tatbestand ausgeschlossen wird (dann terminologisch: „tatbestandsausschließendes Einverständnis“), als Rechtfertigungsgrund zu berücksichtigen sein kann. Objektive Voraussetzung ist, dass die Einwilligung vor der Tat ernsthaft erklärt worden ist und zum Tatzeitpunkt noch fortbesteht. Zudem muss das Rechtsgut der Disposition des Einwilligenden unterliegen. Daran fehlt es bei Rechtsgütern der Allgemeinheit, bei den Individualrechtsgütern Leben (vgl. § 216 dStGB) und Leib, sofern die Körperverletzung sittenwidrig ist (§ 228 dStGB). Subjektiv wird vorausgesetzt, dass der Rechtsgutsträger einwilligungsfähig ist, d.h. die Bedeutung und Reichweite seines Verzichts erkennen und dessen Folgen abschätzen kann. Zudem muss die Einwilligung frei von Wissens- und Willensmängeln sein. Schließlich muss der Täter in Kenntnis der Einwilligung handeln. Darüber hinaus existieren mit der mutmaßlichen und der hypothetischen Einwilligung besondere Formen der Einwilligung. Im **georgischen Recht** gilt die Einwilligung als sog. übergesetzlicher Rechtfertigungsgrund (Art. 32 gStGB) und schließt die strafrechtliche Verantwortlichkeit auf der Rechtfertigungsebene aus. Um die Strafbarkeit zu beseitigen, müssen ebenfalls sowohl objektive (Dispositionsbefugnis, Erklärung) als auch subjektive Voraussetzungen (Einsichts- und Urteilsfähigkeit des Einwilligenden, Willensmängel) beim Einwilligenden gegeben sein. Darüber hinaus muss auch hier der Täter auf Grund der Einwilligung handeln. Eine Sittenwidrigkeitsprüfung (§ 228 dStGB) kennt das georgische Recht, zumindest in Form einer gesetzlichen Regelung, nicht. Darüber hinaus bestehen auch hier besondere Formen der Einwilligung (mutmaßliche; hypothetische). Insgesamt unterscheiden sich das deutsche und georgische Verständnis der Einwilligung nicht wesentlich. Die Einwilligung ist im georgischen Recht allerdings weniger erforscht als in Deutschland. (Mwa/Bji)

დაზარალებულის თანხმობა

გერმანულ სისხლის სამართალში ნიშნავს ჩვეულებითსამართლებრივად აღიარებულ პრინციპს, რომლის საფუძველზეც მსხვერპლის თანხმობა ქმნის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებას (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანხმობა ისედაც ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს – ე.წ. ქმედების შემადგენლობის გამომრიცხავი თანხმობა). ობიექტური თვალსაზრისით, გაცნობიერებული თანხმობა გაცხადებული უნდა იქნას ქმედების შემადგენლობის განხორციელებამდე და ის უნდა იყოს სახეზე უშუალოდ ქმედების განხორციელების დროსაც. ასევე, პირს უნდა ქონდეს იმ სამართლებრივი სიკეთის განკარგვის უფლება, რომლის ხელყოფაზეც ის აცხადებს თანხმობას. ის ვერ განკარგავს საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეებს, სიცოცხლეს (შეად. გსსკ-ის 216-ე პარაგრაფი), ჯანმრთელობას, თუ მისი ხელყოფა საყოველთაო

აღიარებულ ზნეობრივ წესებს ეწინააღმდეგება (გსსკ-ის 228-ე პარაგრაფი). გარდა ამისა, სუბიექტი სრულად უნდა აცნობიერებდეს თანხმობის შინაარსს, ანუ, თუ რას ეხება მისი თანხმობა და რა შედეგებს მოიტანს ეს. მისი გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს შეცდომას ან ნაკლულ ნებას. თავის მხრივ, ამსრულებელი უნდა მოქმედებდეს ამ თანხმობის ცოდნითა და მის ფარგლებში. დაზარალებულის თანხმობის სპეციალურ ფორმებს წარმოადგენს დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა და დაზარალებული ჰიპოთეტური თანხმობა. **ქართულ სამართალში** დაზარალებულის თანხმობა მიეკუთვნება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ ე.წ. ზეკანონურ გარემოებებს (სსსკ-ის 32-ე მუხლი). პასუხისმგებლობის გამოსარიცხად ქართულ სამართალშიც აუცილებელია ობიექტური (სამართლებრივი სიკეთის განკარგვის უფლება, თანხმობის გაცხადება) და სუბიექტური წინაპირობების (გადაწყვეტილებაუნარიანობა, ნამდვილი ნება) შემოწმება. ამსრულებელიც თანხმობის შესაბამისად უნდა მოქმედებდეს. საკანონმდებლო დონეზე საზოგადოებრივ ზნეობასთან თანხმობის შეუსაბამობის კრიტერიუმს ქართული სისხლის სამართალი არ იცნობს. რაც შეეხება თანხმობის სხვა ფორმებს, ისინი არც ქართული სისხლის სამართლისთვის არის უცხო. მთლიანობაში, დაზარალებულის საკითხთან მიმართებით ეს ორი სამართლებრივი სისტემა ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეს საკითხი შედარებით ნაკლებად გამოკვლეულია. (Mwa/Bji)